# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N11/31

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა
გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი                                                                                    25 ნოემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის - **ზესიკ დევდარიანის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი მზერა"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის - **ალექსანდრე ჩიჩუას** სახით, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, *სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10' მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 დეკემბრის N2776 განკარგულების საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:* (2016 წლის 25 ნოემბრის MOC 0 16 00964759 მოხსენებითი ბარათი)

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის გადაუდებელი, გეგმიური სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის, წინასაოპერაციო გამოკვლევებისა და სტაციონარში ყოფნისას ლაბორატორიული და სხვა საჭირო მომსახურების გაწევის შესყიდვა. (CPV კოდი - 85100000 - ჯანდაცვის სამსახურის მომსახურებები).

2. **შესყიდვის ობიექტი**

2.1 შესყიდვის ობიექტია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის გადაუდებელი, გეგმიური სტაციონარული ასევე ამბულატორიული ტიპის სამედიცინო მომსახურების გაწევა.

3. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 5 000.00 ლარს (ხუთი ათასი ლარი და 00 თეთრი).

3.2 შესყიდვის ობიექტის (მომსახურება) ერთეულის ფასები განსაზღვრულია დანართი N1 - ით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.3 ხელშეკრულების 3.1. პუნქტში აღნიშნულ თანხაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი გადასახადი.

4. **მომსახურეობის ხარისხი და გარანტია**

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, დროული, ადეკვატური, კვალიფიციური და ხარისხიანი მომსახურების გაწევის შესახებ.

4.1 მიმწოდებელმა მომსახურება უნდა გაწიოს შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი,ისნის რაიონი, წინანდლის ქ.9 შპს „ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი მზერა".**

5. **მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**

5.1 მომსახურების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის, კერძოდ: **ანგარიშფაქტურის, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა 100) და დანართი N2-ის შესაბამისად წარმოდგენილი ინფორმაციის** შემდგომ. იმ შემთხვევაში როდესაც ანგარიშსწორება ხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციასთან ერთად დამატებით წარმოდგენილ უნდა იქნეს **დეტალური კალკულაცია.**

5.2 მიღება-ჩაბარებისათვის საჭირო დოკუმენტაცია მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს შემსყიდველს (სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს) მომსახურების დასრულებიდან **30 კალენდარული დღის** განმავლობაში. მიღება-ჩაბარების აქტს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფლებამოსილი პირი, რომელიც განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან დირექტორი ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი.

5.3 სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფლებამოსილი მოსამსახურე, ამ ხელშეკრულების 5.1 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის მიღებიდან 20 **კალენდარული დღის** ვადაში ამოწმებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას ამ ხელშეკრულებით დადგენილ პირობებთან (წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას პაციენტისთვის მიწოდებულ სამედიცინო მომსახურებასთან) და აფორმებს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.4 სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფლებამოსილი მოსამსახურე ამ ხელშეკრულების 5.3. პუნქტით განსაზღვრული შემოწმების განხორციელებისას, ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენისას მიმწოდებელს

წერილობით განუსაზღვრავს **7 დღიან** ვადას ხარვეზის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად. ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში გაწეული მომსახურების ღირებულება არ ანაზღაურდება.

5.5 სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფლებამოსილი მოსამსახურე ამ ხელშეკრულების 5.3. პუნქტით განსაზღვრული შემოწმების განხორციელებისას არატექნიკური ხასიათის დარღვევის აღმოჩენისას, წერილობით ინფორმაციას აწვდის ინსპექტირების ჯგუფს შემდგომი რეაგირებისათვის.

5.6 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ, მიმწოდებელი წარუდგენს სამინისტროს აღნიშნულ დოკუმენტს თანდართული მასალებით, თანხის ასანაზღაურებლად.

## 6. ანგარიშსწორების პირობები

6.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

6.2 ანგარიშსწორება სამინისტროს მიერ განხორციელდება დანართი N1 განსაზღვრული პრეისკურანტის ფასების შესაბამისად.

6.3 სამედიცინო მომსახურების გაწევის მომენტში ნოზოლოგიის ცვლილების აუცილებლობისას, ისეთი ნოზოლოგიის მკურნალობა, რომელიც დანართი N1 - ით არ არის განსაზღვრული ანაზღაურდება ფაქტიურად გაწეული ხარჯის შესაბამისად.

6.4 სამედიცინო დაწესებულების მხრიდან ერთდროულად ორი ან მეტი ნოზოლოგიის მკურნალობისას ანაზღაურდება ძირითადი ნოზოლოგიის ღირებულება სრულად, ხოლო დამატებითი ნოზოლოგიების ღირებულება მათი საწყისი ღირებულების 50%-ის ოდენობით, გარდა კრიტიკული მდგომარეობისა.

6.5 ანგარიშსწორება სამინისტროს მიერ განხორციელდება მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან **10 სამუშაო დღის** ვადაში.

6.6 დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი;

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს, სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშფაქტურაში მითითებული ფასების თანხვედრა ხელშეკრულების დანართი N1-ში მითითებულ ფასებთან მიმართებაში და დანართი N2-ით წარმოდგენილი ინფორმაციასთან, ასევე რამდენად სათანადოდ იქნა მომსახურება გაწეული სამედიცინო დაწესებულების მიერ, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთვალდებულებების არსებობის პერიოდში ნებისმიერ დროს.

ბ) არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება, იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად, მომსახურების დასრულებიდან **2 თვის** ვადაში;

გ) სამედიცინო დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევები რევიზიის მიზნით გადაუგზავნოს სსიპ - სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, რომლის დასკვნის საფუძველზეც განხორციელდება ჩატარებული სამედიცინო მომსახურების თანხის ანაზღაურება ან/და ანაზღაურებული თანხის უკან დაბრუნების საკითხი;

დ) უზრუნველყოს მისი თანამშრომლების მიერ მიმწოდებლის დაწესებულებაში არსებული წესების დაცვა, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) მიმწოდებლის დაწესებულებაში უზრუნველყოს მიმწოდებლისა და მესამე პირების უსაფრთხოების დაცვა, ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, მათ შორის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო მომსახურების გაწევის დროს.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

ბ) უარი თქვას მომსახურების ჩატარებაზე, თუ კონკრეტულ შემთხვევაში არ ექნება სათანადო რესურსი სამედიცინო მანიპულაციის განსახორციელებლად (აღნიშნული ფაქტის დადგომის შემთხვევაში მიმწოდებელი წერილობით დაუდასტურებს შემსყიდველს მითითებულ ფაქტს 3 სამუშაო დღის ვადაში).

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან, უზრუნველყოს მომსახურების გაწევა შემსყიდველის მოთხოვნისთანავე;

ბ) მომსახურება გასწიოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან **2016 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით;

გ) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გაუწიოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს პროფილის ფარგლებში სპეციალისტის საკონსულტაციო,

ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების, ამბულატორიული მკურნალობის, გადაუდებელი და გეგმიური სტაციონარული მკურნალობის, წინასაოპერაციო გამოკვლევების და სტაციონარში ყოფნისას საჭირო სხვა სამედიცინო მომსახურება, რომელიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით;

დ) მომსახურება გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით და დანართი N1- ით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ე) მომსახურების გაწევისას დაიცვას ხელშეკრულებით და დანართი N1-ით გათვალისწინებული ყველა პირობა;

ვ) გამოკვლევის ჩასატარებლად მიყვანილ ბრალდებულს/მსჯავრდებულს, ბრალდებულის/მსჯავრდებულის და სხვა მოქალაქეთა უსაფრთხოებიდან გამომდინარე, გამოკვლევა ჩაუტაროს ურიგოდ ყოველგვარი შეფერხების გარეშე;

ზ) ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების (გაწერის) შემდგომ პერიოდში, მედიკამენტების დანიშვნის დროს იხელმძღვანელოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 22 აპრილის N31 ბრძანებით დამტკიცებული **„პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხით“;**

თ) მიმწოდებელი ვალდებულია ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევისთანავე შეადგინოს ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დალუქული ფორმით გაუგზავნოს დაწესებულების მთავარ ექიმს, საბადრაგო სამსახურის მეშვეობით;

ი) ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ;

კ) განახორციელოს ხელშეკრულების ფარგლებში გახარჯული თანხისა და ნაშთის კონტროლი და აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს შემსყიდველს, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (**medical@moc.gov.ge**);

ლ) სამედიცინო დაწესებულებაში უზრუნველყოს უსაფრთხოების სათანადო ზომები, კერძოდ, უზრუნველყოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის განთავსება იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული ბრალდებული/მსჯავრდებულის მიერ გაქცევის, თვითდაზიანების ან სხვა სამართალდარღვევის ჩადენის რისკი.

**8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას**

8.1 მიმწოდებლის მიერ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის გადაუდებელი, გეგმიური სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის, წინასაოპერაციო გამოკვლევებისა და სტაციონარში ყოფნისას ლაბორატორიული და სხვა საჭირო მომსახურების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების ან/და 5.2 პუნქტში მითითებული ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო გასაწევი/გაწეული მომსახურების **20 %-ის** ოდენობით.

8.2 მიმწოდებლის მხრიდან სამედიცინო დოკუმენტაციაში არასწორი მონაცემების მითითების შემთხვევაში (გარდა 5.4. პუნქტით განსაზღვრული ტექნიკური ხარვეზისა) მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების **3%-ის** ოდენობით.

8.3 იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **10%-ს**, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

**9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან **2017 წლის 31 მარტის ჩათვლით.**

9.2 ხელშეკრულების მოქმედება ვრცელდება, როგორც ხელშეკრულების ფარგლებში დაწყებულ, ხელშეკრულების ფარგლებში დაწყებულ და დასრულებულ, ასევე დასრულებულ შემთხვევებზე.

**10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილებების შეტანა**

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.3 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

10.4 თუ ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა, წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ნებისმიერი ინფორმაცია ცვლილების შესახებ და ცვლილება ხელშეკრულებაში შეტანილად ჩაითვლება მეორე მხარის მიერ ცვლილებაზე ხელმოწერის შემდეგ.

10.5 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები, საომარი მოქმედებები, საქონლის ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცრება, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

11.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 11.1 პუნქტიდან გამომდინარე სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

## 12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. მომსახურების გაწევის შემდეგ (ან შესრულების პარალელურად) შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება, გარდა გაწეული სამედიცინო მომსახურეობის ხარისხისა.

12.2. ინსპექტირების განხორცილების შემდგომ დგება ინსპექტირების აქტი. ინსპექტირების აქტში მითითებული უნდა იყოს გაწეული მომსახურების დასახელება, ღირებულება, ინსპექტირებისას აღმოჩენილი დარღვევები.

12.3. ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში, შემსყიდველი აცნობებს მიმწოდებელს გამოვლენილი დარღვევების შესახებ, რომელიც ვალდებულია დაუყოვნებლივ აღმოფხვრას დარღვევა საკუთარი ხარჯით.

12.4. ინსპექტირების აქტის საფუძველზე თუ არსებობს ვარაუდი სამედიცინო მომსახურების უხარისხოდ გაწევასთან დაკავშირებით, შემსყიდველს უფლება აქვს ინფორმაცია მიაწოდოს სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, ასევე, საჭიროების შემთხვევაში მიმართოს სსიპ - აკად. ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი.

12.5. ხელშეკრულებაზე ინსპექტირების განმახორციელებელი პირების ვინაობა განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

## 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

ბ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს არღვევს სისტემატიურად.

დ) ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველზე;

ე) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

13.2 მიმწოდებელი" უფლებამოსილია ცალმხრივად, 14 დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დააზიანებს მის ახლად გამოვლენილ ინტერესებს.

13.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

## 14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს მოლაპარაკების გზით.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ამ ხელშკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

15.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ორი შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.6. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

## 16. მხარეთა რეკვიზიტები

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | შპს „ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი მზერა" |
| მის: ქ. თბილისი, სანდრო ეულის N3,<br>საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934<br>სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222<br>ანგარიშის ნომერი: 200122900 | მის: საქართველო, ქ. თბილისი, ისნის რაიონი, წინანდლის ქ.9<br>ტელ: +995 555 56 55 88; +995 599 56 55 88<br>საიდენტიფიკაციო კოდი: 206120730<br>საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი"<br>ბანკის კოდი: TBCBGE22<br>ა/ანგარიში: GE58TB7286936020100002 |
| მინისტრის მოადგილე<br>/ზესიკ დევდარიანი/ | დირექტორი<br>/ალექსანდრე ჩიჩუა/ |

დანართი 1

პრეისკურანტი

შპს „ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი მზერა"

## დიაგნოსტიკა

| დასახელება | ღირებულება |
|---|---|
| მხედველობის კორექციის მეთოდის შერჩევა | 0.50 |
| მხედველობის განმსაზღვრელი ტესტი-ვიზომეტრია | 5.00 |
| სიელმის გამოსაკვლევი ძირითადი ტესტი | 10.00 |
| კონტრასტული მხედველობის განმსაზღვრელი ტესტი | 10.00 |
| სტერეოსკოპიული მხედველობის განმსაზღვრელი ტესტი | 10.00 |
| ფერადი მხედველობის ბაზისური ტესტი (ისპიპარა-ს ტესტი ან ანალოგიური) | 10.00 |
| ოფთალმოსკოპია, პირდაპირი | 10.00 |
| ეკზოფტალმის ხარისხის განსაზღვრა (ეკზოფტალმომეტრია) | 10.00 |
| თვალის წნევის გაზომვა /ტონომეტრია/ | 10.00 |
| სიელმის კუთხის გაზომვა პრიზმის გამოყენებით | 15.00 |
| ოფთალმოსკოპია, არაპირდაპირი | 15.00 |
| ოფთალმოსკოპია ბინოკულარული | 15.00 |
| თვალის მიკროსკოპია კონტაქტური ლინზების გარეშე | 15.00 |
| თვალის რეფრაქტომეტრია | 15.00 |
| თვალის კაკლის სიგრძის გაზომვა /A-სკანი/ | 15.00 |
| კერატომეტრია /ავტორეფრაქტომეტრია/ | 15.00 |
| ელექტროკარდიოგრაფია | 15.00 |
| ლინზა | 15.00 |
| გონიოსკოპია | 18.00 |
| თვალის მიკროსკოპია კონტაქტური ლინზებით | 20.00 |
| ფოლიკულის ულტრაბგერითი მონიტორინგი | 20.00 |
| თვალის და თვალბუდის ულტრაბგერითი გამოკვლევა /B-სკანი/ | 25.00 |
| რქოვანას სისქის გაზომვა /პაქიმეტრია/ | 25.00 |
| სიელმის გამოკვლევა | 30.00 |
| პერიმეტრია ( მხედველობის ველის გაზომვა) | 30.00 |
| თვალის კლინიკური გამოკვლევა (ოფთალმოსკოპია, ტონომეტრია, ავტორეფრაქტომეტრია, ბიოოფთალმოსკოპია და სხვა...) | 30.00 |
| რქოვანას ტოპოგრაფია | 30.00 |
| ლიმფური სისტემის ულტრაბგერითი გამოკვლევა | 30.00 |
| ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერითი კვლევა | 35.00 |
| ორსულობის დიაგნოსტიკა | 35.00 |
| სარძევე ჯირკვლის ულტრაბგერითი გამოკვლევა | 35.00 |
| საშარდე სისტემის ულტრაბგერითი გამოკვლევა | 35.00 |
| მუცლის ღრუს ორგანოების ულტრაბგერითი გამოკვლევა | 40.00 |
| პირველი ტრიმესტის სამეანო ულტრაბგერითი გამოკვლევა | 40.00 |
| ტრანსაბდომინური გინეკოლოგიური გამოკვლევა | 40.00 |
| ტრანსვაგინალური გინეკოლოგიური გამოკვლევა | 45.00 |
| რეთინოპატიის ნაადრევი გამოკვლევის მეთოდები | 47.00 |
| რქოვანას ტოპოგრაფია /ორ თვალზე/ | 50.00 |
| სამეანო ულტრაბგერითი გამოკვლევა ნაყოფის ბიომეტრიით | 50.00 |
| რქოვანას კლინიკური გამოკვლევა /კერატომეტრია, კერატოტოპოგრაფია, მიკროსკოპია, პაქიმეტრია/ | 60.00 |
| სამკილოსნის ყელის დიათერმოკოაგულაცია | 150.00 |

## კონსულტაციები

| დასახელება | ღირებულება |
|---|---|
| კონსულტაცია ოფთალმოლოგთან 15დღის ვადაში | 0.00 |
| პირველადი კონსულტაცია სტანდარტული გამოკვლევით (ექიმი) | 0.00 |
| პირველადი კონსულტაცია სტანდარტული გამოკვლევით (ექიმი) | 0.00 |
| გინეკოლოგის კონსულტაცია (10დღის განმავლობაში) | 0.00 |
| საავადმყოფოს ფურცლის გახსნა | 3.00 |
| (ფორმა N100, განმეორებით გაცემა) | 15.00 |
| მეორადი კონსულტაცია (15დღის შემდეგ) | 20.00 |
| კონსტილტაცია ექიმის შემგდეგ პროფესორთან | 20.00 |
| სტომატოლოგის კონსულტაცია | 20.00 |
| გინეკოლოგის კონსულტაცია (განმეორებითი 10დღის შემდეგ) | 30.00 |
| კარდიოლოგის კონსულტაცია | 35.00 |
| თერაპევტის კონსულტაცია | 35.00 |
| ალერგოლოგის კონსულტაცია | 35.00 |
| ენდოკრინოლოგის კონსულტაცია | 35.00 |
| კონსულტაცია ექიმთან 30დღის მერე | 35.00 |
| პირველადი კონსულტაცია სტანდარტული გამოკვლევით (ექიმი) | 37.00 |
| გინეკოლოგის კონსულტაცია (30დღის მერე) | 40.00 |
| პროქტოლოგის კონსულტაცია | 40.00 |
| გინეკოლოგის პირველადი კონსულტაცია | 42.00 |
| პროქტოლოგის კონსულტაცია (პირველადი) | 42.00 |
| რევმატოლოგის კონსულტაცია | 45.00 |
| ნევროპათოლოგის კონსულტაცია | 50.00 |
| კონსულტაცია პროფესორთან 30დღის მერე | 55.00 |
| პირველადი კონსულტაცია სტანდარტული გამოკვლევით (პროფესორი) | 57.00 |

| | |
|---|---|
| მამოლოგის კონსულტაცია | 70.00 |
| კონსულტაცია ონკო-გინეკოლოგის | 70.00 |
| **ლაბორატორია** | |
| დასახელება | ღირებულება |
| სისხლში ლეიკოციტების განსაზღვრა | 5.00 |
| ედს-ის განსაზღვრა ვესტერგრინის მეთოდით-ESR | 5.00 |
| შარდში ცილის განსაზღვრა | 5.00 |
| შარდში პიგმენტების განსაზღვრა | 5.00 |
| შარდში გლუკოზის განსაზღვრა | 5.00 |
| განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე | 5.00 |
| განავლის ანალიზი ჰელმინთებზე | 5.00 |
| pH განსაზღვრა სხვადასხვა სითხეებიდან | 5.00 |
| სისხლის შედედების დრო ლი - უაიტით | 5.00 |
| ცილა 24სთ.შარდში | 6.00 |
| ცილა დილის შარდში | 6.00 |
| C რეაქტიული ცილა(თვისობრივი) CRP | 7.00 |
| სისხლში ერითროციტების განსაზღვრა | 8.00 |
| ჰემოგლობინის განსაზღვრა | 8.00 |
| განავლის საერთო ანალიზი | 8.00 |
| საერთაშორისო ნორმალიზებული თანაფარდობა | 8.00 |
| აქტივირებული პარციალური თრომბოპლასტინის დრო | 8.00 |
| პროთრომბინის ინდექსი | 8.00 |
| პროთრომბინის დრო | 8.00 |
| თრომბინის დრო | 8.00 |
| ფიბრინოგენი | 8.00 |
| გლუკოზის განსაზღვრა სისხლში | 8.00 |
| შარდოვანას განსაზღვრა სისხლში | 8.00 |
| შარდმჟავას განსაზღვრა სისხლში | 8.00 |
| ანტისტრეპტოლიზინიASLO | 8.00 |
| გლუკოზა გლუკომეტრზე-Glucose by Glucometer | 8.00 |
| თრომბოციტები-Trombocityes | 8.00 |
| რეტიკულოციტები-Reticulocytes | 8.00 |
| შარდის საერთო ანალიზი | 10.00 |
| კალიუმი | 10.00 |
| კალციუმი | 10.00 |
| ნატრიუმი | 10.00 |
| მაგნიუმი | 10.00 |
| კრეატინინის განსაზღვრა სისხლში | 10.00 |
| საერთო ცილა | 10.00 |
| ალანინამინოტრანსფერაზა | 10.00 |
| ასპარტატამინოტრანსფერაზა | 10.00 |
| გამაგლუტამინტრანსფერაზა | 10.00 |
| ბილირუბინი | 10.00 |
| საერთო ქოლესტერინი | 10.00 |
| მაღალი სიმკვრივის ქოლესტერინი | 10.00 |
| დაბალი სიმკვრივის ქოლესტერინი | 10.00 |
| ტრიგლიცერიდები | 10.00 |
| ამილაზას განსაზღვრა სისხლში | 10.00 |
| ალბუმინის განსაზღვრა სისხლში | 10.00 |
| რკინის განსაზღვრა სისხლის შრატში | 10.00 |
| სისხლის ჯგუფის და რეზუსის დადგენა | 10.00 |
| ტროპონინი I | 10.00 |
| ჰეპატიტი B | 10.00 |
| ჰეპატიტი C | 10.00 |
| შიდსიHIV | 10.00 |
| სიფილისი RPR | 10.00 |
| ნაცხის მიკროსკოპული კვლევა | 10.00 |
| პლევრის პუნქტატის საერთო ანალიზი | 10.00 |
| ლიქვორის საერთო ანალიზი | 10.00 |
| B ვირუსის ჰეპატიტის ზედაპირული ანტიგენის განსაზღვრა სისხლში (HBSAg)-სწრაფი მეთოდით | 10.00 |
| C ვირუსის ჰეპატიტის საწინააღმდეგო ანტიგენის განსაზღვრა სისხლში (HCV)-სწრაფი მეთოდით | 10.00 |
| ალკალინფოსფატაზა-ALP | 10.00 |
| აქტ.პარციალური თრომბოპლასტინის დრო-APTT | 10.00 |
| გლუკოზა-Glucose | 10.00 |
| გლუკოზის განსაზღვრა 24 საათიან შარდში | 10.00 |
| გლუკოზის განსაზღვრა დილის შარდში | 10.00 |
| დე-დიმერი რაოდენობრივი-D-Dimer | 10.00 |
| იონიზირებული კალციუმი-Ca++ | 10.00 |
| კრეატინინის განსაზღვრა 24 საათიან შარდში | 10.00 |
| კრეატინინის განსაზღვრა დილისშარდში | 10.00 |
| კრეატინკინაზა MB ფრქცია-CK MB | 10.00 |
| ლაქტატი სისხლში-Lactate in blood | 10.00 |

| | |
|---|---|
| მიკროალბუმინ(24 სთ შარდი, დილის შარდი)-Microalbumin(24 hour Urine, morning urine) | 10.00 |
| პანკრეასული ამილაზის კონცენტრაციის განსაზღვრა სისხლში-Pancreatic amylaza in blood | 10.00 |
| პირდაპირი ბილირუბინი-Direct Billirubin | 10.00 |
| რეზუს ანტისხეულების განსაზღვრა-Rh antibodys | 10.00 |
| საერთო ბილირუბინი-Total Billirubin | 10.00 |
| საერთო კალციუმი-Total Ca | 10.00 |
| შარდმჟავა-Uric Acid | 10.00 |
| უმარტივესების გამოვლენა სინათლის მიკროსკოპის გამოყენებით (დემოდეკოზი) | 15.00 |
| სისხლის საერთო ანალიზი | 15.00 |
| გლუკოზის განსაზღვრა ჭამამდე და ჭამის შემდეგ | 15.00 |
| პლევრალური (სეროზული სითხეების) საერთო ანალიზი | 15.00 |
| შეკვეცილი კოაგულოგრამა-PT, PI, INR, APTT | 15.00 |
| სამის ნაცხის ანალიზი | 18.00 |
| კოაგულოგრამა | 20.00 |
| C რეაქტიული ცილა(რაოდენობრივი) CRP | 20.00 |
| თირკმლის ფუნქციური სინჯები -Urea/BUN, Creatinine, UA | 20.00 |
| თიროსტიმულირებელი ჰორმონი(TSH) | 25.00 |
| თავისუფალი თიროქსინი(FT4) | 25.00 |
| ანტისხეულები თიროგლობულინის მიმართ-Anti - TG | 25.00 |
| ანტისხეულები თიროპეროქსიდაზას მიმართ-Anti - TPO | 25.00 |
| ანტისხეულები თიროტროპული ჰორმონის რეცეპტორის მიმართ-Anti-TSH-receptor | 25.00 |
| ანტისხეულები ციკლური ციტრულინური პეპტიდის მიმართ (anti - CCP) | 25.00 |
| ესტრადიოლი-Estradiol | 25.00 |
| თავისუფალი ტრიიოდთირონინი-FT-3 | 25.00 |
| თიროგლობულინი-Tireoglobulin | 25.00 |
| ფოლიკულის მასტიმულირებელი ჰორმონი-FSH | 25.00 |
| ალერგოდიაგნოსტიკა (სინჯი) | 25.00 |
| ლიპიდური სპექტრი | 30.00 |
| რევმატოიდული ფაქტორი | 30.00 |
| გლიკოზირებული ჰემოგლობინი | 30.00 |
| გაზები და ელექტროლიტები -Na+ ,K+, Ca++ | 35.00 |
| მრავალი ლიპიდების განსაზღვრა | 35.00 |
| PAP ტესტი | 40.00 |
| ღვიძლის ფუნქციური სინჯები -ALT, AST, GGT, ALP, Bil-Total, Bil -Direct | 50.00 |
| **ოპერაციები** | |
| დასახელება | ღირებულება |
| ფტოზის ნაკერის მოცილება | 15.00 |
| გონიოსკოპია | 25.00 |
| ოფთალმოსკოპია, პირდაპირი | 30.00 |
| ოფთალმოსკოპია, არაპირდაპირი | 35.00 |
| ოფთალმოსკოპია ბინოკულარული | 35.00 |
| კონიუნქტივიდან უცხო სხეულის ამოღება | 60.00 |
| კონიუნქტივის გაკერვა | 90.00 |
| ქოლაზიონის ამოკვეთა | 110.00 |
| ქუთუთოს გაკერვა | 110.00 |
| მონიტორინგი | 110.00 |
| უცხო სხეულის ამოღება ქუთუთოდან | 120.00 |
| წამწამის ეპილაცია ელექტროლიზის მეთოდით | 120.00 |
| ხანმოკლე ინტრავენური ანესთეზია | 135.00 |
| თვალის ქუთუთოს გაკვეთა | 140.00 |
| ქუთუთოს აბსცესი | 140.00 |
| საცრემლე ჯირკვლის ბიოფსია | 150.00 |
| თვალის პროთეზი | 150.00 |
| თვალბუდის ბიოფსია დიაგნოსტიკური ნემსით | 180.00 |
| თვალბუდის ბიოფსია დიაგნოსტიკური ნემსით ციტოლოგიური გამოკვლევისთვის | 180.00 |
| ქუთუთოდან ცხიმოვანი პარკის ამოკვეთა | 180.00 |
| სკლერის უბნის თერმოკოაგულაცია | 180.00 |
| რქოვანას ამორეცხვა | 180.00 |
| სხვა ზოგადი ანესთეზია | 185.00 |
| კანტოტომია | 200.00 |
| რქოვანის და სკლერის დაცვა რბილი ლინზებით | 210.00 |
| ლაზერული ირიდოტომია | 220.00 |
| ბროლის ჩანთის გაკვეთა ლაზერული მეთოდით მეორადი კატარაქტის გამო | 220.00 |
| მინისებრი სხეულის ბიოფსია დიაგნოსტიკური ნემსით | 220.00 |
| ინექცია მინისებურ სუბსტანციაში | 230.00 |
| თვალბუდიდან იმპლანტის ამოღება | 250.00 |
| საცრემლე პარკის გაკვეთა | 260.00 |
| წამწამოვანი სხეულის კრიოთერაპია | 260.00 |
| წინა საკანის პუნქცია და გამორეცხვა | 275.00 |
| ბალანსირებული ანესთეზია | 275.00 |

| | |
|---|---|
| ცენტრალური ტარსორაფია/ ბლეფარორაფია | 280.00 |
| ლატერალური ან მედიალური ტარსორაფია/ ბლეფარორაფია | 280.00 |
| ეტაპობრივი ტარსორაფია/ ბლეფარორაფია | 280.00 |
| ოპერაციები ლაგოფტალმუსის (კურდღლის თვალი) გამო | 280.00 |
| თერაპიული ინექცია ექსტრაოკულარულ კუნთებში | 280.00 |
| რქოვანის კრიოთერაპია | 280.00 |
| ტრაბეკულექტომია ლაზერული მეთოდით | 280.00 |
| თვალის ენუკლეაცია | 310.00 |
| თვალის ევისცერაცია | 310.00 |
| ლაზერული სინექიოლიზისი | 320.00 |
| ფრთისებრი აპკის (პტერიგიუმი) ამოკვეთა | 330.00 |
| მეორადი კატარაქტის ამოკვეთა | 330.00 |
| პუპილოტომია ლაზერული მეთოდით | 335.00 |
| გონიოპუნქცია | 340.00 |
| ირიდოტომია | 340.00 |
| პერიფერიული ირიდექტომია | 340.00 |
| სექტორალური ირიდექტომია | 340.00 |
| ქუთუთოს დაზიანებული უბნის კრიოთერაპია | 349.00 |
| დაკრიოცისტექტომია | 350.00 |
| კონიუნქტივის დაზიანებული უბნის კრიოთერაპია | 350.00 |
| სხვა ოპერაციები რქოვანას ან სკლერის უბანზე | 350.00 |
| დამატება (ამერიკული ბროლი) | 354.00 |
| ლაზერული ტრაბეკულოპლასტიკა | 355.00 |
| საცრემლე არხის გაკვრა | 360.00 |
| კონიუნქტივის აღდგენა ტრანსპლანტატის (graft) გარეშე | 360.00 |
| არაამრევებული ბადურის კრიოპექსია | 380.00 |
| ბადურის დაზიანებული უბნის კრიოთერაპია | 380.00 |
| გახსნილი პოსტოპერაციული ჭრილობის დახურვა თვალზე და მის დანამატებზე | 380.00 |
| ქუთუთოზე ნაკერის დადება ენტროპიონის გამო | 385.00 |
| ენტროპიონის კომბინირებული კორექცია | 385.00 |
| სხვა ოპერაციები ენტროპიონის გამო | 385.00 |
| ქუთუთოს ბოჩკოსებრი ხრტილის ამოკვეთა ეკროპიონის გამო | 385.00 |
| ქუთუთოს ბოჩკოსებრი ხრტილის და კანის ამოკვეთა ეკროპიონის გამო | 385.00 |
| თვალის ქუთუთოს პლასტიკური აღდგენა ნაწიბუროვანი ექტროპიონის გამო | 385.00 |
| სხვა ოპერაციები ექტროპიონის გამო | 385.00 |
| პლასტიკური აღდგენითი ოპერაციები ქუთუთოს კიდეზე ტრიქიაზისის გამო | 385.00 |
| სხვა ოპერაცია თვალის ქუთუთოზე | 385.00 |
| წინა საკანის პუნქცია და თვალის ნამის (წყლის) აღდგენა | 390.00 |
| პაპილოტომია (გუგის გაკვეთა) | 390.00 |
| განმეორებითი ოპერაცია ზედაპირული სისხლდენის გამო თვალზე და მის დანამატებზე | 390.00 |
| განმეორებითი იმპლანტის ჩადგმა და რევიზია | 400.00 |
| ქუთუთოს რელაქსირებული/ჩამოკიდებული კანის კორექცია და ცხიმოვანი პარკის რეზექცია | 400.00 |
| ნაწილობრივი დაკრიოადენექტომია (საცრემლე ჯირკვალის ამოკვეთა) | 400.00 |
| საცრემლე არხის გაკვრა და დრენაჟის ჩადგმა | 400.00 |
| ექსტრაოკულარული კუნთების მიექტომია | 400.00 |
